თბილისი - ერევანი

31 მაისს “დინამოს” სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ “საკავშირო თასის” გათამაშების მონაწილე გუნდები: თბილისის “დინამო” და ერევნის “სპარტაკი”.

უნდა ითქვას, რომ “სპარტაკი” საკმაოდ ძლიერი კოლექტივია. გუნდმა ეს თამაშის დაწყებისთანავე დაამტკიცა, როდესაც არათუ არ მისცა საშუალება თბილისელ ოსტატებს გოლის გატანისა, არამედ ძლიერი იერიშიც განავითარა და მე-15 წუთზე პირველი ბურთი გაიტანა. დინამოელებს დიდი შრომის დახარჯვა დასჭირდათ, რომ გაექვითათ ანგარიში. ეს გოლი ლამაზად გაიტანა მ. ბერძენიშვილმა.

მეორე ტაიმში მინდორზე გამოვიდა ბ. პაიჭაძე, რომელიც პირველ განყოფილებაში არ თამაშობდა. ამ შესანიშნავი ფეხბურთელის გამოჩენამ ერთბაშად შესცვალა ბრძოლის სურათი. დინამოელებს ენერგია მოემატათ, კომბინაციებიც უფრო აზრიანი შეიქნა, პაიჭაძის ღირსება იმაშია, რომ ის თვითონაც საუცხოოდ თამაშობს და როგორც ცენტრმარბი, სხვასაც ათამაშებს: მის მიერ ბურთის მოწოდება თითქოს მათემატიკურად გამოანგარიშებულია.

მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში ბურთი არ მოშორებია ერევნის კარს. ნ. სომოვმა, ბ. პაიჭაძემ და მ. გავაშელმა თითქმის ზედიზედ გაიტანეს ბურთები და შეჯიბრება დამთავრდა “დინამოს” ოსტატების ბრწყინვალე გამარჯვებით _ ანგარიშით 4:1.

მთელი თამაშის მანძილზე გამუდმებით წვიმდა, მაგრამ ოცი ათასზე მეტი მაყურებელი არ მოშორებია თავის ადგილს და სულგანაბული ადევნებდა თვალყურს გუნდების დაძაბულ ბრძოლას.

“კომუნისტი”, 2 ივნისი, 1941 წ.